თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4647330

ნომერი: AR1701699

თარიღი : 15.08.2019

გაცემის თარიღი : 26.08.2019

გაცნობის თარიღი : 27.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , მიკრო/რაიონი XI , კვარტალი I , (ნაკვეთი 1/47);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონი ბერულავა პ/ნ 01020003472
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ჩარგალის ქუჩა, N 79ა, ბინა 93

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1701699 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით სამსახურში #AR1699790 ელექტრონული განაცხადით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დადებითად დასრულებას და ითხოვთ დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის #4634113 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლება (ნაკვ. 4/85) მოქ. არქიმედ ტერსენოვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.26.004.085) I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე) სასაწყობე კონტეინერის და ტრანფორმატორის ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობების მშენებლობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით გაიცა თანხმობა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი,შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.